თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. თბილისი 2017 წელი, 20 ნოემბერი, 18:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ზეკა დავითულიანი, დავით ყუჯმაჯურიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, თეკლიორე ისაკაძე, დავით ყუთმელიძე, ნიკოლოზ ციბულაშვილი, გიორგი გაბაშვილი, გოჩა თეთელიორაძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

<u>სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:</u>

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი:

„თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან
დაკავშირებით (№12/031731434-03 - 10.11.2017წ).

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 815 210.1 ათას ლარით, ასევე წარმოადგინა ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი სრულყოფილად ვერ ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ჩამოყალიბებულ პრიორიტეტებს, აღნიშნულის დაფინანსებას კი 2018 წლის ბიუჯეტით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

კერძოდ, ქალაქის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთი ინფრასტრუქტურის და გარემო პირობების არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთათვის უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას. გზათა ქსელი არის გადაადგილების სისტემის ფუნქციონირების საყრდენი, რომელიც ქალაქის სოციალურ ეკონომიკური ზრდის შესაბამისად უნდა ვითარდებოდეს. საჭიროა არსებული საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა პასუხობდეს არსებული გამოწვევებს. სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აღდგენის ნაწილში საჭიროა დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფა, იმისათვის რომ მოხდეს ამ მიმართულებით პრიორიტეტული პროექტების დაფინანსება.

ძველი თბილისის რეაბილიტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია, ეროვნული ტურისტული მარშრუტის შექმნის, ინვესტიციების ზრდის, ეკონომიკის წახალისებისა და დამატებითი სამუშაო ადგილების წარმოქმნის თვალსაზრისით. აუცილებელია ამ მიმართულებით ბიუჯეტის ასიგნებების გაზრდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 72-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი", გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით გადასამუშავებლად დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრებმა გიორგი გაბაშვილმა, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა და გოჩა ოევდორაძემ.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

/დადგენილების პროექტი და სხვა მასალები იქმნა თან ერთვის/

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე